საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01–08/15

25 აპრილი 2012 წ. **ქ. ბათუმი**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ხარისხის ვიდეო-მონიტორინგის (ლექციების/ჯგუფში მუშაობის მიმდინარეობა და სხვა) განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის აუდიტორიებში და გამოცდებისა და უნარ-ჩევევების შეფასების ცენტრში გამოყენებული იქნეს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა აუდიო ჩაწერის გარეშე, აუდიო-ვიდეო ჩაწერა განხორციელდეს წინასწარი შეთანხმებით ლექციების ჩაწერის მიზნით.

2. ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესის, რეიტინგული შეფასებებისა და გამოცდების ვიდეო-მონიტორინგი განახორციელოს რექტორმა (საჭიროებისამებრ), რექტორის მოადგილემ, რსუ-ს და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომელბმა, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტების დეკანებმა - მუდმივად.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს რსუ-ს აუდიტორიებში, ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

რექტორი, სრული პროფესორი *ალიოშა ბაკურიძე*